F-171
1976

საქართველოს სსრ განათლების საბჭოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

10

СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოქტომბერი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-76 წ. ანწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25

შეკვ. № 1019 УЭ—04402 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19
Типография № 11, Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР. ул Уш Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-4291

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს კოლეგიის
1976 წლის 13 მაისის
დადგენილებით

საქართველოს სსრ საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები

1. საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან 16 წლისა და მეტი ასაკის, რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული ახალგაზრდები, აგრეთვე ინვალიდები და დიასახლისები.

2. საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი, მიუხედავად იმისა, თუ როდის აქვს დამთავრებული მასობრივი ან საღამოს სკოლის სათანადო კლასი, ჩაირიცხება მხოლოდ მომდევნო კლასში.

შენიშვნა: ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო განათლება მიიღეს შვიდი კლასის ბაზაზე, ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის IX კლასში.

დღის სკოლის ნებისმიერ კლასში დარჩენილი პირები მიიღებიან საღამოს სკოლის იმავე კლასში, გარდა დამამთავრებელი X კლასის მოსწავლეებისა, რომელთა საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები საღამოს სკოლებში მიიღებიან ამ სასწავლებლის ცნობისა და შუამდგომლობის საფუძველზე.

3. დღის სკოლის მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ სკოლებში აკრძალულია. გამონაკლისის შემთხვევაში

ქ. მარგვეთის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო საჯარო ბიბ-ა

მოზარდები, რომელთაც 16 წელი არ შესრულებიათ, საღამოს (ცვლ-ანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების V—VIII კლასებში მიიღებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარგზავნით, მათი სამუშაოზე მოწყობის შემდეგ. IX კლასის მოსწავლეების საკითხს წყვეტს შესაბამისი განათლების განყოფილება, ხოლო მეათე კლასის მოსწავლეებისას კი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. სასწავლო წლის განმავლობაში საღამოს (ცვლიანი) სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანა აკრძალულია. გამონაკლისის სახით (ჯანმთრელობის ან ოჯახური პირობების გამო) მათი გადაყვანა შეიძლება მოხდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

შენიშვნა: ერთი სკოლიდან მეორე სკოლის XI კლასში გადაყვანილი მოსწავლე კარგავს მედლის მიღების უფლებას.

5. საღამოს (ცვლიან) ან დაუსწრებელ სკოლაში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს: ა) საბუთს განათლების შესახებ (IX, X და XI კლასებში მისაღებითათვის აუცილებელია რვა კლასის დამთავრების მოწმობა), ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან, გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან, დ) დაბადების მოწმობას.

6. სკოლაში შემსვლელი პირის საბუთებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

7. საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, აგრეთვე დღის სკოლების საღამოს კლასებში მოსწავლეები ჩაირიცხებიან შესაბამისი სკოლის დირექტორის ბრძანებით.

ინდივიდუალური დაუსწრებლები დასწრებულ-დაუსწრებელ ან დაუსწრებელ სკოლებში ჩაირიცხებიან საერთო წესით და ჩაითვლებიან ამ სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტში.

შენიშვნა: იქ, სადაც არის დაუსწრებელი ან დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა საბუთებს იღებს პუნქტის გამგე, ხოლო მათი სკოლაში ჩარიცხვა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. მოსწავლეთა საბუთები ინახება სკოლის დირექციაში.

8. ის პირები, რომელთა განათლების საბუთები დაიკარგა სტიქიური უბედურების შედეგად (ხანძარი, წყალდიდობა და სხვ.) ან ომებში ჩაირიცხნენ არქივიდან და სხვა სათანადო ორგანიზაციიდან ამის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში, ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილების ნებართვით, წინა კლასის პროგრამის მოცულობით გამოცდების მიხედვით. მათთვის გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: V—VI—VII კლასებში: მშობლიურ ენაში (წერითი), მათემატიკაში (ზეპირი); VIII კლასში: მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი); IX—X კლასებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), ალგებრასა და ელემენტალურ ფუნქციებში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი); XI კლასში-მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი).

9. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში მისაღებ გამოცდებზე იმ პირთა დაშკების საკითხს, რომლებსაც არ შეუძლიათ წარმოადგინონ განათლების საბუთი, წყვეტს ცხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

10. წერითი გამოცდებისათვის მასწავლებელს უნდა მიეცეთ შემდეგი სახის სამუშაოები: მშობლიურ ენაში—სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი თემატიკის მიხედვით; მათემატიკაში—ერთი ამოცანა და ორი მაგალითი.

11. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

12. გამოცდებისათვის წერითი სამუშაოს თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს ადგენს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

13. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით. ერთ დღეს კლასში შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

14. საღამოს სკოლაში შემსვლელს თითოეულ საგანში ცდის სკოლის დირექტორის მიერ გაფოყოფილი მასწავლებელი და ასისტენტი.

15. გამოცდების შედეგებს იხილავს პედაგოგიური საბჭო, შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვაც ამავე საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

16. მისაღები გამოცდების მასალები (წერითი ნამუშევრები, წერითი და ზეპირი გამოცდების ოქმები) ინახება მოსწავლის პირადი საქმეში.

შენიშვნა: სკოლაში მისაღები გამოცდებით ჩარიცხული მოსწავლეები ვალდებული არიან გამოსაშვები (VIII, XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შეიტანება რვაწლიანი განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში.

17. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპის სასწავლებლის კურსდამთავრებულნი საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ სკოლებში არ მიიღებიან.

18. ის პირი, რომელიც სწავლობდა რვაწლიანი სკოლის ბაზაზე მომუშავე საშუალო სპეციალურ სასწავლებელში და გავიდა ამ სასწავლებლიდან კურსის დამთავრებამდე, მიიღება საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში შემდეგი პირობით:

პირი, რომელმაც დაამთავრა პირველი კურსი, ჩაირიცხება IX კლასში, მეორე კურსდამთავრებული—X კლასში, ხოლო მესამე კურსდამთავრებული (თუ სასწავლებელი ოთხწლიანია)-XI კლასში.

19. განცხადების მიღება და მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვა წარმოებს 15 მაისიდან 30 აგვისტომდე.

შენიშვნა: 1. როგორც გამონაკლისი, სკოლებს უფლება აქვთ მოსწავლეები ჩაირიცხონ სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში.

2. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული, სათანადო საბუთების მქონე პირები სწავლას გააგრძელებენ საღამოს ან დაუსწრებელი სკოლის იმ კლასებში, რომელშიც გაწვევამდე სწავლობდნენ.

3. საზღვაო ფლოტის მეზღვაურები და მეთევზეები, გამონაკლისის სახით, ჩაირიცხებიან დაუსწრებელ სკოლებში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

20. მოსწავლეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით აცდენენ მეცადინეობას, დაუდევრად ეკიდებიან სწავლას, გაირიცხებიან სკოლიდან დირექტორის ბრძანებით, იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიიღო პედაგოგიურმა საბჭომ შესაბამისი საწარმოს, დაწე-

სებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

16 წლამდე ასაკის მოსწავლეების სალამოს სკოლიდან გაგზავნა დაუშვებელია მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გარეშე.

21. ამ წესების გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 15 მაისს დამტკიცებული „წესები სალამოს (ცვლიან) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

სალამოსა და დაუსწრებელი
სკოლების სამმართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Утверждено
Постановлением Коллегии Министерства
просвещения Грузинской ССР
от 13 мая 1976 г.

ПРАВИЛА

Приема учащихся в вечерные (сменные) и заочные средние общеобразовательные школы Грузинской ССР

1. В вечерние (сменные) и заочные средние общеобразовательные школы принимаются лица в возрасте 16 лет и старше не имеющие восьмилетнего или среднего образования и занятые в различных отраслях народного хозяйства, а также инвалиды и домохозяйки.

2. Лица, поступающие в вечерние школы, независимо от того, когда они окончили соответствующие классы массовых или вечерних школ, зачисляются только в последующие классы.

Примечание: Лица, получившие неполное среднее образование на базе семи классов, зачисляются в IX класс вечерней школы.

Лица оставленные для прохождения повторного курса в дневной школе, принимаются в тот же класс вечерней школы кроме учащихся выпускного десятого класса, вопрос которых решается Министерством просвещения Грузинской ССР.

Учащиеся профтехучилищ в вечерние школы принимаются по представлении справки—ходатайства из указанных училищ.

3. Перевод учащихся дневных школ в вечерние (сменные) и заочные школы запрещается.

В порядке исключения подростки, не достигшие 16-ти лет, после их трудоустройства, принимаются в V—VIII классы по направлению комиссии по делам несовершеннолетних при районных, городских исполкомах Советов депутатов трудящихся. Вопрос учащихся IX класса решают соответствующие отделы просвещения Грузинской ССР.

4. Перевод учащихся выпускных классов вечерних (сменных) школ из одной в другую в течение учебного года запрещается. В виде исключения (по состоянию здоровья или семейным обстоятельствам) перевод этих учащихся осуществляется с разрешения Министерства просвещения Грузинской ССР.

Примечание: При переводе из одной школы в другую учащийся XI класса теряет право на получение медали.

5. Лица, поступающие в вечерние (сменные) и заочные школы, вместе с заявлением представляют в школу:

а) документ об образовании, (поступающие в IX, X и XI классы должны представить свидетелство о восьмилетнем образовании); б) справку с места работы; в) справку с места жительства; г) свидетельство о рождении.

6. Документы поступающего принимает директор школы или его заместитель по учебно-воспитательной работе.

7. Зачисление учащихся в вечерние и заочные школы, а также в вечерние классы при дневных школах, производится на основании приказа директора соответствующей школы.

Индивидуальные заочники зачисляются в очно-заочные и заочные школы на общих основаниях и считаются контингентом данной школы.

Примечание: Там, где есть учебно-консультационный пункт заочной или очно-заочной школы, документы принимает заведующий пунктом, а зачисление учащихся происходит на основании приказа

директора школы. Документы учащихся хранятся в дирекции школы.

8. Лица, документы об образовании которых утеряны в результате стихийных бедствий (пожар, наводнение и др.), зачисляются в школы после представления из архива и другой соответствующей организации справки, подтверждающей этот факт, с разрешения городских, районных отделов народного образования на основании вступительных экзаменов за курс предыдущих классов по следующим предметам: V—VI—VII классы—родной язык (письменно); математика (устно); VIII класс—родной язык (письменно); алгебра (письменно); геометрия (устно); IX—X классы—родной язык и литература (письменно), алгебра и элементарные функции (письменно); геометрия (устно); XI класс—родная литература (письменно); алгебра и элементарные функции (письменно), геометрия (устно).

9) Вопрос о допуске к вступительным экзаменам для зачисления в XI класс лиц, которые не могут представить соответствующего документа об образовании, решает только Министерство просвещения Грузинской ССР.

10. Виды письменных работ для вступительных экзаменов следующие: по родному языку—по тематике письменных работ соответствующего класса; по математике—одна задача и два примера.

11. Устные экзамены проводятся в порядке индивидуального опроса.

12. Для проведения экзаменов темы письменных работ, задачи и примеры составляют преподаватели соответствующих предметов и утверждает директор школы.

13. Экзамены проводятся по расписанию, утвержденному директором школы. В классе в один день проводится по одному экзамену.

14. Поступающих в вечерние (сменные) и заочные школы экзаменуют преподаватели и ассистенты соответствующих предметов, выделенные директором школы.

15. Итоги экзаменов рассматривает педагогический совет.

Зачисление учащихся в соответствующие классы производятся решением педагогического совета и оформляется приказом директора школы. На вновь зачисленных учащихся составляется личное дело.

16. Материалы вступительных экзаменов (письменные работы, протоколы письменных и устных экзаменов) хранятся в личном деле учащегося.

Примечание: Учащиеся, зачисленные в школы на основании приемных экзаменов, обязаны до окончания выпускных (VIII—XI) классов сдать экзамены по всем тем предметам, которые вносятся в свидетельство о восьмилетнем образовании и аттестат о среднем образовании.

17. Лица, обучающиеся в техникумах и других средних специальных учебных заведениях, а также окончившие данные учебные заведения, в вечерние (сменные) школы не принимаются.

18. Лица, обучавшиеся в средних специальных учебных заведениях (работающих на базе восьмилетней школы) и выбывшие из них до завершения курса обучения, принимаются в вечерние и заочные школы на следующих условиях: окончившие 1-ый курс зачисляются в IX класс, окончившие 2-ой курс—в X класс, окончившие 3-ий курс (если учебное заведение с четырехлетним сроком обучения— в XI класс.

19. Прием заявлений и зачисление учащихся в вечерние и заочные школы производится с 15 мая по 30 августа.

Примечание: 1. В порядке исключения, школам предоставляется право зачислять учащихся в течение первого семестра.

2. Лица, демобилизованные из рядов Советской Армии и имеющие соответствующие документы, продолжают учебу в тех классах вечерных или заочных школ, в которых они учились до призыва.

3. Лица, из числа плавсостава морского флота, как исключение, могут зачисляться в за-

очные, школы на протяжении всего учебного года.

20. Учащиеся, пропускающие уроки по неуважительным причинам, нерадиво относящиеся учебе, исключаются из школы приказом директора, на основании решения педсовета, принятого с участием представлителей администрации, общественных организации и предприятий учреждений колхозов и совхозов, где они работают.

Исключение из вечерней школы подростков до 16-ти лет не допускается без согласования с комиссией по делам несовершеннолетних при рай (гор) исполкомах Советов депутатов трудящихся.

21. С опубликованием настоящих правил теряют силу „Правила приема учащихся в вечерние (сменные) заочные средние общеобразовательные школы Грузинской ССР", утвержденные коллегией Министерства просвещения Грузинской ССР от 15 мая 1974 года,

Управление вечерних и заочных школ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 28 ივნისის ბრძანება № 641

1975—1976 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 15 დეკემბრის № 164 ბრძანების შესაბამისად, 1975—1976 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია ჩატარდა აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის, სოხუმისა და გუდაუთის, აჭარის ასსრ ქობულეთისა და ქედის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის, მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ბორჯომის, გორის, კასპის, სიღნაღის რაიონების, ქ. ქ. გორის, ქუთაისის, რუსთავის, ქ. თბილისის კალინინის, ოქტომბრისა და ლენინის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

1975 წლის 16 დეკემბერს ჩატარდა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, რესპუბლიკის 20 რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეების, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს აპარატის მუშაკთა თათბირ-სემინარი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

1976 წლის 14 იანვარს შედგა ქ. ქ. ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ზუგდიდის, მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ბორჯომის, გორის, ცხინვალისა და სიღნაღის, კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების, ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების იმ დირექტორთა ფართო თათბირ-სემინარი, სადაც ჩატარდა მასწავლებელთა ატესტაცია.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1973 წლის 11 დეკემბერს დამტკიცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა საა-

ტესტაციო კომისიების შემადგენლობა, ასევე ადგილებზე შეიქმნა და დაკომპლექტდა საატესტაციო მუშა კომისიები, შედგა რესპუბლიკური და ადგილობრივი საატესტაციო კომისიების სამუშაო გეგმები-გრაფიკები. ადგილებზე დაეგზავნათ სსრ კავშირის განათლების სამინისტროდან მიღებულ მასალათა კრებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების საკითხთან დაკავშირებით. საკმაო რაოდენობით დაიბეჭდა და დაეგზავნათ ადგილებზე ინსტრუქციები, საატესტაციო ფურცლები, ოქმები, მოწმობები და ბარათები კარტოთეკისათვის.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეების, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეების (მუშა კომისიის თავმჯდომარეების) ანგარიშები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტ ციის მიმდინარეობისა და ატესტაციის შედეგების შესახებ.

პრესაში გამოქვეყნდა საინსტრუქციო და სხვა ხასიათის მასალები.

რესპუბლიკური საატესტაციო კომისიის წევრები ადგილებზე სისტემატურად ესწრებოდნენ საატესტაციო და მუშა კომისიების სხდომებს.

ატესტაციის შედეგად გამოვლინდა საუკეთესო მასწავლებელთა დიდი ჯგუფი, რომელიც შეიარაღებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნით, ისინი სისტემატურად მუშაობენ თავის თავზე და იმაღლებენ იდეურ პოლიტიკური ცოდნის დონეს, კითხულობენ მხატვრულ, პოლიტიკურ და მეთოდიური ხასიათის ლიტერატურას, უზიარებენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას დამწყებ მასწავლებლებს და სხვ.

იმ ქალაქებში და რაიონის სკოლებში, სადაც მოქმედი დებულების დაცვით ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია, სულ მუშაობს 16416 მასწავლებელი, მათგან ატესტაცია გაიარა 9457 მასწავლებელმა. განთავისუფლებაზე განცხადება წერა 412 მასწავლებელმა, მათგან ატესტაციის მიმდინარეობის პერიოდში უკვე განთავისუფლებულია 66.

ატესტაციის შედეგად შეეფერება დაკავებულ თანამდებობას — 7156, შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულ-

ლების პირობით—1817, არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას—33.

ა/კ რკინიგზის სკოლებიდან ატესტაცია ჩატარდა ქ. თბილისის მეექვსე სალამოს (ცვლის) საშუალო, დასწრებულ—დაუსწრებელ, გორის სასწავლო—საკონსულტაციო პუნქტის, ქუთაისის № 12 და № 23 საშუალო სკოლებში, სადაც ატესტაცია გაიარა 67 მასწავლებელმა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღჭალის შრომა—აღმზრდელობით კოლონიასთან არსებულ სალამოს № 39 საშუალო სკოლიდან ატესტაცია გაიარა 6 მასწავლებელმა.

„უფროსი მასწავლებლის" წოდებაზე წარმოდგენილია 34 მასწავლებელი, მათგან ქ. თბილისიდან—8, ქ. ზუგდიდიდან—1, ქ. რუსთავიდან—2, ქ. ქუთაისიდან—4, კასპის რაიონიდან—2, ბორჯომის რაიონიდან—2, სიღნაღის რაიონიდან—2, მახარაძის რაიონიდან—4, ზუგდიდის რაიონიდან—2, ცხინვალის რაიონიდან—2, ქედის რაიონიდან—I, სოხუმის რაიონიდან—1 და გუდაუთის რაიონიდან—1 მასწავლებელი.

„მასწავლებელ მეთოდისტის" წოდებაზე წარმოდგენილია 5 მასწავლებელი, მათგან სოხუმის რაიონიდან—1, ზუგდიდის რაიონიდან—1 და ქ. თბილისიდან—3.

შემოწმებით დადგინდა, რომ ადგილობრივი მუშა კომისიები ძირითადად პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მასწავლებელთა ატესტაციის საქმეს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საატესტაციო კომისიები, ქ. ქ. ქუთაისისა და ზუგდიდის. ქ. თბილისის ლენინის რაიონის, წყალტუბოს, ზუგდიდის, გორის, ცხინვალისა და სხვა რაიონების მუშა კომისიების მიერ გაწეული მუშაობა—საატესტაციო მასალების სწორად გაფორმება, სხდომების გრაფიკით დაწესებულ ვადებში ჩატარება, მოქმედი დებულების შესაბამისად მასალების რესპუბლიკურ საატესტაციო კომისიებში დროულად და სწორად წარდგენა და სხვა.

ამასთან ერთად, აღინიშნება ბორჯომის, კასპის, ქ. თბილისის ოქტომბრის, მახარაძის მუშა კომისიების საქმიანობაში ზოგიერთი ხარვეზი: არაობიექტური დახასიათებების შედგენა, საატესტაციო ფურცლების შევსების საქმეში ატესტაციის დებულების უხეში დარღვევა, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით გახარჯულ იქნა საატესტაციო მასალები;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად გამოვლინებული საუკეთესო მასწავლებლები:

ა) ნიენიჭოს „მასწავლებელ — ეთოდისტის“ საპატიო წოდება

1. გამრეკელი ელენე ნიკოლოზის ასულს—ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს;

2. ეფიმოვა გალინა ივანეს ასულს—ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;

3. კაჭარავა თინათინ ევსევის ასულს—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;

4. სართანია ლუბა ივანეს ასულს—ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს;

5. მიჩეანი თეიმურაზ შოთაძეს—სოხუმის რაიონის პავლოვის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს.

ბ) ნიენიჭოს „უფროსი მასწავლებლის“ საპატიო წოდება

1. ციცხვაია ციალა პლატონის ასულს—ქ. თბილისის მერვე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს;

2. კორელოვი ვლადიმერ ირაკლის ძეს—ქ. თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს;

3. შეყელაშვილი სოფიო კორნელის ასულს—ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს.

4. ხოჯაშკილი სვეტლანა დიმიტრის ასულს—ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

5. რუხაძე ნელი გიორგის ასულს—ქ. თბილისის 142-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

6. ზუმბურიძე ეთერ ოთარის ასულს—ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;

7. კირვალიძე ირინა გიორგის ასულს—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს;

8. ტუშიანი ნადეჟდა პაველეს ასულს—ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს;

9. დგებუაძე მარიამ თომას ასულს—ქ. ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

10. ლაშქარაშვილი ლამარა დავითის ასულს—ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელს;

11. ვაშჩენიკოვა მარია ივანეს ასულს—ქ. რუსთავის მეცხრე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;

12. თავდგირიძე ზეინაბ ქრისტეფორეს ასულს—ქ. გორის მეორე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს;

13. ხადური ლიდა იოსების ასული—ქ. გორის მეთერთმეტე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

14. კობახიძე ნადეჟდა მიხეილის ასულს—ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

15. ლანჩავა თინა კალისტრატეს ასულს—ქ. ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს.

16. შალამბერიძე ნათელა შალვას ასულს—ქ. ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

17. პეპუაშვილი ნინო ვარლამის ასულს—ქ. ქუთაისის მეხუთე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

18. დავითაშვილი ანეტა ბაგოატის ასულს—კასპის პირველი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს;

19. გოზალიშვილი ესტატე ალექსანდრეს ძეს—კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს;

20. ზურაბიშვილი ალექსანდრე პახტელეიმონის ძეს—ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს;

21. ერემოვა აზიზ ბაგრატის ასულს—ქ. ბორჯომის მეორე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს;

22 ინაშკილი ანა იოსების ასულს—სიღნაღის რაიონის შრომის № 1 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს;

23, ჯანიაშვილი ნათელა ნიკოლოზის ასულს—სიღნაღის რაიონის ბოდბის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს;

24. ლომთათიძე ჯულიეტა ვლადიმერის ასულს—ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს;

25- ჯაყელი ნოდარ შალვას ძეს—ქ. მახარაძის მეორე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს;

26. შავიშკილი კლარა დავითის ასულს—ქ. მახარაძის მესამე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს;

27. თავართქილაძე შალვა ტარასის ძეს—მახარაძის რაიონის ბახვის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა
F-4241
ქ. მარტვილის საჯ. საქ. სსრ
ბიბლიოთეკა

28. მორგოშია ნუცა ივანეს ასულს—ზუგდიდის რაიონის ბაკალიის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს;

29. დიდია გიორგი მიხეილის ძეს—ზუგდიდის რაიონის ჩხოროწყუს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს;

30. ცოტნიაშვილი ვალერიან შალვას ძეს—ცხინვალის რაიონის ბერულის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს;

31. გაგლოევა ზაირეტა იასონის ასულს—ცხინვალის რაიონის ხელჩეს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს;

32. ბერულავა ეთერ ნიკოლოზის ასულს—სოხუმის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს;

33. ბარციცი ზინაიდა ახმედის ასულს—გუდაუთის რაიონის შლამურხვის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს;

34 ანანიძე ზურაბ დურსუნის ძეს—ქედის რაიონის ცხმორისის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს.

2. დაევალოს კადრების სამმართველოს (აღხ. ი. კვაჭაძე):

ა) დააზუსტოს და წარმოადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მასწავლებელთა სიები, რომლებიც ატესტაციის შედეგად იმსახურებენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ხიშნით დაჯილდოებას;

ბ) განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად შეადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის იმ მასწავლებელთა სიები, რომლებიც მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად ღირსნი არიან დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი სიგელით.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 18 ივნისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.ს 1976 წლის 20 ივნისის ბრძანება № 697

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ შესწავლის, პროპაგანდისა და შესრულების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ ჩვენს რესპუბლიკაზე უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც რესპუბლიკის ყველა მშრომელის, მათ შორის სახალხო განათლების სისტემის ყველა მუშაკისა და მასწავლებლის მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა გამოიწვია.

სკკპ ცკ-ის დადგენილება, რომელშიც განზოგადებულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, მოცემულია გზები სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად პრინციპული სახელმძღვანელო დადგენილება, რომლის ცხოვრებაში განსახორციელებლად ხანგრძლივი პერიოდისათვის უნდა დაისახოს საქმიანი ღონისძიებანი, გაჩაღდეს შემოქმედებითი მუშაობა.

ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში „გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები სახალხო განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის“. პარტიის ამ მაღალმა შეფასებამ

ალაფრთოვანა რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ყველა მუშაკი, ამასთან, ევრიც დაავალა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების, ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებე ის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია სკკპ ცკ-ის ამ დადგენილების ღრმა და საქმიანი შესწავლა, მასში მოცემული იდეების, დებულებებისა და დასკვნების სახალხო განათლების თითოეულ მუშაკამდე, მასწავლებლამდე და მოსწავლემდე მისაწვდომ ფორმებში დაყვანა, გაცნობა-შესწავლა.

მართალია, სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში ეს მუშაობა უკვე დაწყებულია. კერძოდ, სახალხო განათლების ორგანოებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, გამაჯანსაღებელ ბანაკებში მაგრამ სისტემატური და მოფიქრებული ხასიათი ამ მუშაობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეცადინეობის განახლების შემდეგ უნდა მიეცეს.

ამასთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სახალხო განათლების ყველა რგოლისა და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელების ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ ამ დადგენილების გაცნობის, შესწავლის, დაყვანისა და პროპაგანდის დროს განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, მოუგვარებელ საკითხებსა და გადასაჭრელ პრობლემებს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილების სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლსა და სასწავლო დაწესებულებაში განხილვის, შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში საჭირო მუშაობის ჩატარების მიზნით და ამ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 29 ივნისის დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მთლიანად და საკუთარი იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. იღებს მას სახელმძღვანელოდ და უთუოდ შესასრულებლად.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ საფუძვლად დაედოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოების, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო დაწესებულებების მთელ საქმიანობას.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებმა:

—კოლეგიებზე, სახალხო განათლების საბჭოებზე, სკოლების და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიური. საბჭოების სხდომებზე უახლოეს მომავალში განიხილონ საკითხი სკკპ ცკ-ის აღნიშნული დადგენილების შესრულების შესახებ, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მის ცხოვრებაში გასატარებლად, წამოყენებული წინადადებები და მოსაზრებანი წერილობით აცნობონ განათლების სამინისტროს ერთი თვის ვადაში;

—სკკპ ცკ-ის ამ ისტორიული დოკუმენტის შესწავლის, გაცნობის, დაყვანისა და პროპაგანდის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, გადაუჭრელი საკითხებისა და პრობლემების წამოწევისა და გადაწყვეტის საქმეს;

—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებში აამაღლონ და განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა;

—სისტემატურად მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან კითხვა-საუბრები, ლექციები, კონფერენციები, დილა-საღამოები, შეხვედრები და სხვ. სკკპ ცკ-ის ამ დადგენილების გაცნობისა და ღრმა შესწავლის მიზნით;

—გამონახონ ახალი საშუალებები მოსწავლეებამდე მისაწვდომ ფორმებში, მათი ასაკის გათვალისწინებით, სკკპ ცკ-ის დადგენილების გაცნობის, დაყვანისა და განმარტების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ფართოდ გამოიყენონ სკკპ ცკ-ის დადგენილების შესაძლებლობანი მოსწავლე ახალგაზრდობის იდეური, შრომითი, სამართლებრივი, ზნეობრივი, პატრიოტული, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში;

—1976 წლის 1-ელ ოქტომბერსა და შემდგომში ყოველი ახალი წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ კონკრეტული ინფორმაციები ამ ბრძანების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

4. შეიქმნას კომისია ამხ. ამხ. უშ. ობოლაძის (თავ-რე), რ. კანდელაკის (მოადგილე), ზ. როგავას, თ. ყლენტის, თ. ნიკოლაიშვილს, გ. გუჯეჯიანის, ე. ქურციკიძის (მდივანი), თ. ჩიტაძის, ი. კვაჭაძის, შემადგენლობით, დაევალოს ადგილებზე საკითხის განხილვის დროს წამოყენებული წინადადებებისა და მოსაზრების გათვალისწინებით შეიმუშაოს ღონისძიებათა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო განათლების სისტემაში სკკპ ცკ-ის აღნიშნული დადგენილების განხორციელებას.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში სკკპ ცკ-ის ამ დადგენილების განხილვის, შესწავლის, შესრულების, პროპაგანდის მდგომარეობა.

6. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" უახლოეს ნომერში, ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გამრავლდეს და დაეგზავნოს სახალხო განათლების ყველა ორგანოსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებას.

7. სკოლების სამმართველომ, სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. ამხ. რ. კანდელაკი, ზ. როგავა) მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე, პერიოდულად მოახსენონ კოლეგიას მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგის 1976 წლის 15 ივლისის დადგენილება,

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 21 ივლისის ბრძანება № 705

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა ალრიცხვის, მოვლის, გამოყენების, შევსების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა სასკოლო ექსპერიმენტის როლი ფიზიკაში. ეს გარემოება აუცილებელს ხდის ფიზიკის კაბინეტების სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებითად გაუმჯობესებას.

სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების, სკოლებისა და შეფი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა ფიზიკის კაბინეტების მომარაგება სასწავლო მოწყობილობით, ახალი ტიპის ხელსაწყო-იარაღებითა და დგამ-ავეჯით.

მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო, განსაკუთრებით რვაწლიანი სკოლების ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის აღჭურვილი სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად სიჭირო სასწავლო მოწყობილობითა და მასალებით. ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩატარებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღების მხრივ.

ზოგიერთი სკოლა სასწავლო-თვალსაჩინო მოწყობილობის შესაძენად ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების ნაწილს რაციონალურად არ ხარჯავს, რის შედეგადაც წლების განმავლობაში სკოლებში საკმაო რაოდენობით ზედმეტი ხელსაწყოთა კომპლექტები დაგროვდა. ამასთან, ზოგჯერ, ადგილი აქვს სკოლებისათვის ისეთი ხელსაწყოების შეძენის შემთხვევებს, რომლებიც საპროგრამო მასალის გასალისათვის სრულიად საჭირო არაა. ყოველივე ეს იმითაა გამოწვეული, რომ

სკოლებში არ წარმოებს ფიზიკის კაბინეტების გეგმიანი შევსება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 3 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის" შესაბამისად.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება ფიზიკის კაბინეტებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღრიცხვის საქმეში, სკოლების ერთ ხაწილში ხელსაწყო-იარაღები ზუსტად არაა აღრიცხული. მათი დასახელება ზოგჯერ საინვენტარო წიგნში შეტანილია დამახინჯებით და ზოგადად (ამპერმეტრი, ვოლტმეტრი, რეოსტატი, დინამომეტრი, და სხვ.), როცა თითოეული მათგანი რამდენიმე სახისა და ტიპისაა.

ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკის კაბინეტში სასწავლო-თვალსაჩინო მოწყობილობა კარადებში ფიზიკის ცალკეული განყოფილებისა და დარგების მიხედვით არ არის განლაგებული. სადემონსტრაციო ხელსაწყოები გამოყოფილი არაა მოსწავლეთა ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოებისაგან.

ზოგჯერ კაბინეტებში ხელსაწყოები არ არის ხმარებისათვის მომზადებული და მოხერხებულად განლაგებული, არ ხდება მათი აწყობა, რეგულიება და მცირე დაზიანების შემთხვევაში შეკეთება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იძითაცაა გამოწვეული, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზიკის კაბინეტებში არსებული სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა აღრიცხვის საქმე და აქამდე არსებული აღრიცხვის წესი ვერ უპასუხებს თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნებს. ამის შედეგია, რომ ფიზიკის, მასწავლებლები კაბინეტებისათვის საჭირო ხელსაწყოებზე განაცხადებს ადგენენ ზერელედ, რეალურ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

ფიზიკის კაბინეტებში არსებული სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა აღრიცხვის, მოვლის, გამოყენების, შევსების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინ-

სტიტუტის მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობის აღრიცხვის საინვენტარო წიგნის ფორმა და მითითებანი მისი შევსებისა და წარმოების შესახებ (თან ერთვის).

2. 1977 წლის 30 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის 27 მაისს დამტკიცებული მითითებანი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის მუშაობის შესახებ.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა.

ა) აღნიშნული ბრძანება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო იარაღებისა და მოწყობილობათა აღრიცხვის საინვენტარო წიგნის ფორმა, აგრეთვე მითითებანი მისი შევსებისა და წარმოების შესახებ დაიყვანონ რაიონების (ქალაქების) მეთოდურ კაბინეტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის კაბინეტების მოწყობის, მათი დგამ-ავეჯით, თვალსაჩინო სასწავლო მოწყობილობით შეკაზმვის, არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ მოწყობილობათა აღრიცხვის, მოვლისა და სასწავლო მუშაობის პროცესში ფართოდ გამოყენების საქმეზე;

გ) 1978 წლამდე მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხით გათვალისწინებული ყველა მოწყობილობით აღჭურვილი ფიზიკის სანიმუშო კაბინეტები: ქ. ქ. თბილისის—3, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, გორისა და თელავის თითო სკოლაში, სადაც უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას გაივლიან;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის შესაბამისად აღჭურვონ, აღრიცხონ, დანომრონ და კარადებში განალაგონ პირველ რიგში იმ სკოლების ფიზიკის კაბინეტების სასწავლო მოწყობილობანი, სადაც რაიონის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები მუშაობენ;

ე) 1977 წლის 25 აგვისტომდე უზრუნველყონ ამ ბრძანების

შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში საკითხის კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოებზე განხილვა.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი);

ა) 1977 წლის ბოლომდე ფიზიკის კაბინეტი შეავსონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხით გათვალისწინებული მოწყობილობით, რათა სანიმუშო იყოს სკოლებისათვის, სასწავლო მოწყობილობის აღრიცხვის, მოვლის, კარადებში რაციონალურად განლაგების, სწავლების პროცესში გამოყენებისა და გეგმიანად შევსების მხრივ;

ბ) ფიზიკის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმაში მეტი ადგილი დაუთმოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების მუშაობის ორგანიზაციის, სასწავლო მოწყობილობით შევსების, აღრიცხვის, კარადებში რაციონალურად განლაგების, მოვლისა და სწავლების პროცესში სრულყოფილად გამოყენების საკითხებს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური სწავლებისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. დ. გვალია) სკოლებისადმი მეთოდური დახმარებისათვის აქტიურად გამოიყენოს მოძრავი ლაბორატორიასახელოსნო, ზუსტად იხელმძღვანელოს ამ ბრძანებითა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობის აღრიცხვის საინვენტარო წიგნის ფორმითა და მითითებებით მისი შევსებისა და წარმოების შესახებ.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი):

ა) უზრუნველყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობის აღრიცხვის საინვენტარო წიგნისა და მისი შევსების შესახებ მითითების საკმაო რაოდენობით დაბეჭდვა და სკოლებისათვის დაგზავნა;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტიპობრივი სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის შესაბამისად შემოზიდოს რესპუბლიკაში ფიზიკის ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღი, აღკვეთოს სკოლების ერთგვარი ხელსაწყოებით მომარაგების პრაქტიკა;

გ) უზრუნველყოს სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიისა და მისი ფილიალების მიერ ანგარიშების გამოწერისას სასწავლო მოწყობილობის დასახელების ტიპობრივი ნუსხის [illegible] საბმისად შეტანა;

დ) მიმდინარე წლის ნოემბრამდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტებისათვის საჭირო რაოდენობით გამოსცეს საინვენტარო წიგნები დანართში მოცემული ფორმების მიხედვით.

7, სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 15 ივლისის დადგენილება.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-
როს 1976 წლის 21 ივლისის № 705
ბრძანების დანართი

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკის კაბინეტის თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობის აღრიცხვისა და საინვენტარო წიგნის წარმოების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზიკის კაბინეტი წესრიგში მოჰყავს კაბინეტის გამგეს ლაბორანტის დახმარებით.

როგორც წესი, ფიზიკის კაბინეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აღრიცხულია სკოლის საერთო საინვენტარო წიგნში, რომელიც ბუხჰალტერიაში ინახება. თვით კაბინეტში უნდა შეიქმნას ფიზიკის კაბინეტის საინვეტარო წიგნი (რვაწლიან სკოლაში 50 ფურცლიანი, საშუალო სკოლაში—100 ფურცლიანი), რომელსაც სარჩევი (დანართი № 1 და № 2) და ორი განყოფილება ექნება. წიგნის პირველ განყოფილებაში აღირიცხება კაბინეტში არსებული თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღები, მოწყობილობა და შემდეგ კი შეიტანება მათი შეძენის თანმიმდევრობით.

საინვენტარო წიგნის პირველი განყოფილება, რომელშიც აღირიცხება „სასწავლო მოწყობილობის საერთო სია“, უნდა დაიხაზოს წიგნის გაშლილ ფურცელზე შემდეგი წესით;

რიგ. №№	ინვენტარის №	დარგის №	დარგის მიხედ-ვით რიგითი №	ხელსაწყოს დასახელება	რაოდენობა	ღირებულება ერთეულის მან.	ღირებულება ერთეულის კაპ.	ღირებულება საერთო მან.	ღირებულება საერთო კაპ.	მიღების საფუძველი	მიღების თარიღი	ჩამოწერის საფუძველი	შენიშვნა
1	2	3	3	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	1	II	36	ჰიდრავლიკური წნეხი საკუთრად	1	27	50	27	50	საბაზ. მაღაზ. ანგ. № 412	5.06 1970		
2	2—3	VIII	38	სპექტრალური მილების ნაკოები	2	3	85	7	70	"			
3	4—23	VII	13	საკლასო ლაბორატორიული ამპერმეტრი (მაცხიტოელექტროული)	20	2	64	52	80	I		აქტი № 16 15.01.76 წ. ორი ცალი №4 და №15	

პირველ განყოფილებაში შეტანილი ხელსაწყოების დასახელებები უნდა შეესაბამებოდეს ტიპობრივ ნუსხაში მოცემულ დასახელებებს.

წიგნის მეორე განყოფილებ›, რომელშიც მოცემული სარჩევის მიხედვით შეიტანება ტიპობრივი ნუსხები. უნდა დაიხაზოს წიგნის გაშლილ ფურცელზე შემდეგი სახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ რიგზე		სკოლას უნდა ჰქონდეს				1977 წ.			1978 წ.			1978 წ.			1980 წ.		
		კლასები	რაოდენობა	სკოლას აქვს 1976 წლის ანგარიშისაებრ	ინვენტარის №	შემოვიდა	ჩამოწერა	სკოლას აქვს	შემოვიდა	ჩამოწერა	სკოლას აქვს	შემოვიდა	ჩამოწერა	სკოლას აქვს	შემოვიდა	ჩამოწერა	სკოლას აქვს
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ორგანული მინის ჯოხი	VI—VII	1 ც.	2 ც.	31—32												
37	აკუმულატორი ენ—52	VI—VIII	5 ც.	3 ც.	412—414												
75	რკალური ნათურა	IX—X	1 ც.	1 ც.	321												
80	თერმოსვეტი	IX—X	1 ც.	2 ც.	216—217												
81	ტომსონის კოჭი	—	—	1 ც.	145												
81	მრგვალი ელექტრო-მაგნიტი	—	—	1 ც.	746												

მეორე განყოფილებაში, სარჩევის მიხედვით, პირველად შეიტანება VI—VIII კლასებისათვის გათვალისწინებული ხელსაწყოებიც. შემდეგ გრძელდება ნუმერაცია და შეიტანება IX—XI კლასებისათვის გათვალისწინებული ხელსაწყო-თარაღები. მოცემული ნიმუშის მიხედვით ნუმერაციას ვაგრძელებთ და, ტიპობრივი ნუსხით გათვალისწინებული ხელსაწყოების შეტანის შემდეგ, შეგვაქვს ის ხელსაწყოები, რომელიც სკოლას ფაქტიურად აქვს, მაგრამ ტიპობრივი ნუსხით არ არის გათვალისწინებული.

ყოველ ხელსაწყოზე (გარდა მასალისა და ჭურჭლისა) მაგრდება ეტიკეტი ან შედარებით დაფარულ ადგილზე ეწებება მართკუთხედის (ან სხვა ფორმის) მცირე ზომის თეთრი, ოდნავ სქელი და მკვრივი ქაღალდი.

ეტიკეტზე ან ქაღალდზე შავი ტუშით, ერთ სტრიქონზე, უნდა დაეწეროს სამი ციფრი ასეთი თანმიმდევრობით: 225—V—7, პირველი ციფრი გვიჩვენებს ინვენტარის ნომერს, მეორე—რომაული—დარგის ნომერს.

მეხამე—არაბული—დარგის მიხედვით რიგით ნომერს. ხელსაწყოების დანომრვის შემდეგ ისინი ცალკე, დარგების მიხედვით ლაგდება კარადებში, კარადაზე მაგრდება სქელი მუყაოს მართკუთხა ფორმის ნაჭერი, რომელზეც ეწერება დარგის ნომერი,

ხელსაწყოს ადვილად მიგნებისა და შენახვის მიზნით კარადებში, თაროებზე იწერება ხელსაწყოების რიგითი ნომერი დარგების მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

VI—VIII კლასები

სარჩევი . . . . . 1 გვ.

I განყოფილება

სასწავლო მოწყობილობის სია . . . . . 2 გვ.

II განყოფილება

დარგები

I. საერთო ხელსაწყოები და მოწყობილობანი 34
II. მექანიკა 38
III. მოლეკულური ფიზიკა და სითბო 48
IV. ელექტრობა 52
V. მოწყობილობა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებისათვის 60
VI, მოწყობილობა პრაქტიკებისათვის 70
VII. ლაბორატორიული დამხმარე მოწყობილობა, ჭურჭელი და მასალები 72
VIII. ინსტრუქციები 82
IX. ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი 84
X. დიაპოზიტივები 86
XI. დიაფილმები 88
XII. კინოფრაგმენტები და კინორგოლები 90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI—X კლასები

სარჩევი . . . . . 1 გვ.

I. განყოფილება

სასწავლო მოწყობილობის საერთო სია . . . . . 2 გვ.

II განყოფილება

დარგები

I. საერთო ხელსაწყოები და მოწყობილობა 60
II. მექანიკა 68
III. მოლეკულური ფიზიკა და სითბო 80
IV. რხევები, ტალღები, ბგერა 88
V. ელექტრობა 92
VI. ოპტიკა, ატომის აგებულება 112
VII. მოწყობილობა ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოებისათვის 120
VIII. მოწყობილობა პრაქტიკებისათვის 136
IX. ლაბორატორიულ-დამხმარე მოწყობილობა, ჭურჭელი და მასალები 148
X. ინსტრუმენტები 164
XI. ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი 168
XII. დიაპოზიტივები 172
XIII; დიაფილმები 176
XIV. კინოფრაგმენტები და კინორგოლები 180

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 23 ივლისის ბრძანება № 706

სახალხო განათლების ობიექტების სახანძრო დაცვის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

როგორც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში 1976 წლის 5 თვეში აღირიცხა ათობით ხანძარი.

ამასთანავე, როგორც არსებულ დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, სახალხო განათლების ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფება არადამაკმაყოფილებელ სახანძრო უშიშროების პირობებში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების ცნობით, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ ხანძარსაწინააღმდეგო პირობებში მუშაობენ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთაველის, გორის, აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის, დუშეთისა და ზნაურის რაიონების ზოგიერთი სკოლა და სხვა საბავშვო დაწესებულება.

სახალხო განათლების ობიექტების სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გამოვლინებული სახანძრო უშიშროების ტიპური წესების მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებმა დააჯარიმეს თბილისის № 2, ქუთაისის № 23, გარდაბნის № 1, თიანეთის რაიონის ტუშურების საშუალო, დუშეთის რაიონის ჩარგლის, ზნაურის რაიონის ოქონის რვაწლიანი და ხუნდისუბნის დაწყებითი სკოლების ხელმძღვანელები. მსგავსი დარღვევების გამო დაჯარიმდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ზოგიერთი ქალაქის, რაიონის სკოლის დირექტორები და საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეები.

სკოლებში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა უმთავრესად გამოწვეულია ელექტროგაყვანილობის მოუელელობით, სახანძრო უსაფრთხოების წესების მეულრულებლობით, ცეცხლთან გაუფრთხილებლობით და ხანძარსაქრობი საშუალებებით განათლების ობიექტების არადამაკმაყოფილებელი აღჭურვით.

შეინიშნება ისიც, რომ განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი მკაცრად არ ითხოვს სკოლის დირექტორებისაგან და განათლების ობიექტების ხელმძღვანელებისაგან ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შესაბამისი დადგენილებების დაუყოვნებლივ შესრულებას, სათანადო დასკვნებს არ აკეთებს მომხდარი ხანძრების შედეგად და საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებს სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სამინისტროების კოლეგიებისა და განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე მიმდინარე წლის ივლისის თვეში განიხილონ სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ხანძარსწინააღმდეგო მდგომარეობის საკითხი და მიიღონ ქმედითი ზომები ზაფხულის პერიოდში სახალხო განათლების ობიექტების ხანძრისაგან დასაცავად;

ბ) პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 5 ივნისის № 17/35 წერილით;

გ) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარებისას შეცვალონ მოძველებული ელექტროგაყვანილობა, სრულ წესრიგში მოიყვანონ ცენტრალური გათბობის სისტემები, საკვამლე მილები და პირველადი ხანძარსაქრობი ინვენტარი;

დ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ პედაგოგიურ

კოლექტივებსა და მოსწავლეთა შორის სახანძრო უშიშროების ტიპური წესების მოთხოვნათა შესასწავლად;

ე) ამ ბრძანების შესრულებისა და სახალხო განათლების ობიექტების სახანძრო უშიშროების საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოადგინონ მიხსენებითი ბარათი 1976 წლის აგვისტოში.

2. აღინიშნოს, რომ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, დუშეთისა და ზნაურის რაიონების განათლების განყოფილებებმა მთლიანად არ შეასრულეს განათლების საძინისტროს 1975 წლის 16 ივნისის № 456 ბრძანების მოთხოვნები და დაევალოთ მათ უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება განათლების ობიექტების ხანძრისაგან დასაცავად.

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეორე განყოფილებას (აბხ. ო. მჭედლიძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 22 ივლისის დადგენილება.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 27 ივლისის ბრძანება № 798

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალით ირკვევა, რომ წელს არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მთელი რიგი სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადება. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ლენტეხის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობა. თავის დროზე აღნიშნული სკოლა-ინტერნატი იმდენად უხარისხოდ იქნა აგებული საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მიერ, რომ გასულ წელს სასკოლო კორპუსში ჩამოინგრა სასხვენო გადახურვა, ავარიულ მდგომარეობაშია საძინებელი კორპუსის სართულშორისი გადახურვები და შესაკეთებელია როგორც საძინებელი, ისე სასადილო კორპუსების სახურავი, წყალსადენ-კანალიზაცია და ცენტრალური გათბობის სისტემა, ალაგ-ალაგ შესალესია ჭერი და კედლები, შენობათა ირგვლივ თავიდან მოსაწყობია უხარისხოდ გაკეთებული სარინელები და სხვა. აღნიშნულის გამო განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორის მიერ შედგენილ იქნა რეკონსტრუქცია-აღდგენითი სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელთა შესასრულებლად გამოყოფილია 61 ათასი მანეთი სახელმწიფო კაპიტალაბანდების სახსრებიდან. რეკონსტრუქცია-აღდგენითი სამუშაოების წარმოება 1976 წლის საიჯარო სამუშაოების გეგმით, თანახმად ზემდგომი ორგანოების მითითებისა, დაევალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის მეოთხე სამშენებლო ტრესტს, მაგრამ შემდგომ მშენებლობის სამინისტროს მიერ ეს სამუშაო დაეკისრა „საქსპეცმშენს" (უფროსი ა. კოპლატაძე), რომელიც კატეგორიულ უარს აცხადებს სამუშაოების შესრულებაზე.

მიმდინარე წლის ზამთარში, დიდთოვლიანობის დროს, დაინგრა ამავე სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის ნახევარზე მეტი, რომელიც დღემდე არ არის აღდგენილი და თუ აღდგენითი სამუშაოები

დროულად არ დამთავრდა, შეუძლებელი იქნება I სექტემბრისათვის 450 აღსაზრდელის მიღება და სწავლის განახლება.

ანალოგიური მდგომარეობაა მესტიის სკოლა-ინტერნატში, სადაც სასწავლო, საძინებელი და სამეურნეო კორპუსები იმდენად უხარისხოდ იქნა აგებული საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „კომუნრემმშენის“ მესტიის სარემონტო კანტორის მიერ, რომ აქაც საჭირო გახდა რეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტრესტ „კომუნრემმშენის“ წულუკიძის სპეციალური სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (მმართველი ზ. ხუციშვილი). 16 ივნისისათვის მშენებლების მიერ მხოლოდ სამეურნეო კორპუსში შესრულებული იყო სამუშაოების უმნიშვნელო ნაწილი.

თბილისის № 2 დახმარე სკოლა-ინტერნატის არსებულ შენობას, ნაცვლად ავარიულისა, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მიშენდეს 3 სართულიანი კორპუსი. მშენებლობა დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს (მმართველი გ. მელიქიშვილი). მშენებლობის პროცესში აღსაზრდელთა ტრავმატიზმის თავიდან აცილების მიზნით მშენებლებს კედლების ამოყვანა და შენობის გადახურვა უნდა დაემთავრებინათ I სექტემბრამდე, მაგრამ, საქმისადმი მათი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, 21 ივნისისათვის სამშენებლო ობიექტზე მიწის სამუშაოებიც კი არ იყო დაწყებული.

ჩაშლილია კაპრემონტის სამუშაოები თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ და მუსიკალურ სკოლა-ინტერნატებში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობისა და საქართველოსა სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების სარემონტო კანტორები (უფროსები გ. მოსიშვილი და კ. დგებუაძე). მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შესასრულებელია 107.0 ათასი მანეთის სამუშაო. შემოწმების მომენტისათვის კი აქ მუშაობდა ერთი სანტექნიკოსი და 6 დამხმარე მუშა. დღემდე ხელუხლებელია სასწავლო და სამეურნეო კორპუსები. ეს მაშინ, როდესაც მშენებლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო სამშენებლო მასალით.

აღსანიშნავია, რომ ამავე სკოლა-ინტერნატის სასკოლო კორპუსზე მიმდინარეობს 47 საკლასო ოთახის მიშენება, რომელსაც წარმატებით ახორციელებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინიტროს

მე-19 ტრესტის № 7 სამმართველო (მმართველი ვ. ყუფუნია, სამუშაოთა მწარმოებელი ჯ. ჭუმბაძე.)

ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ჩოხატაურის რაიონის კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატსა და ჩოხატაურის საბავშვო სახლში. განათლების განყოფილებას ამ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად 10 და 3 ათასი მანეთი. ორივე ობიექტზე ჩოხატაურის საამშენებლო—სარემონტო კანტორას (უფროსი ლ. ზამბახიძე) 14 ივლისისათვის შესრულებული ჰქონდა უმნიშვნელო მოცულობის სამუშაოები.

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა ქ. ქუთაისში, სადაც მუსიკალურ სკოლა-ინტერნატზე წარმატებით ახორციელებს 80 ოთახის მიშენებას მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო—სამონტაჟო სამმართველო „ინჟმშენი" (უფროსი შ. ავალიანი, მთავარი ინჟინერი ჯ. ბაქრაძე). ასევე წარმატებით ახორციელებს ეს ორგანიზაცია დიდთოვლიანობის შედეგად დანგრეულ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის საძეურნეო კორპუსზე აღდგენით სამუშაოებს.

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლში შემოზიდული იყო სათბობი, სახელმძღვანელოები და საკანცელარიო ნივთები, რბილი და მაგარი ინვენტარი.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღონ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში სარემონტო სამუშაოების ხარისხიანად და დროულად დამთავრებისათვის;

ბ) დასახონ ღონისძიებანი ინტერნატული დაწესებულებების ნორმით გათვალისწინებული რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფისა და კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით მომარაგებისათვის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გათბობის სისტემის წესრიგში მოყვანისა და ამ დაწესებულებების ზამთრის სეზონისათვის სათბობით უზრუნველყოფის საქმეს.

2. დაევალოს განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორას (ამხ. თ. ქიქოძე) 10 დღის ვადაში უზრუნველყოს ლენტეხის სკოლა-ინტერნატის სამეურნეო კორპუსის აღდგენითი სამუშაოებისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.

3. მომარაგების სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამშენებლო მასალებით, ტექნოლოგიური დანადგარებით, რბილი და მაგარი ინვენტარით დროულად უზრუნველყოფისათვის.

4. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს თბილისის ფიზიკა-მათემატიკური, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მუსიკალური სკოლა-ინტერნატის სარემონტო სამუშაოები საერთანადო ხელფასის ფონდით.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა ქუთაისის „საქსპეცმშენმა" დაუყოვნებლივ დაიწყოს ლენტეხის სკოლა-ინტერნატში გეგმით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია-აღდგენითი სამუშაოები, ხოლო „მიავართბილმშენის" № 2 სამმართველომ-მიშენებითი სამუშაოები დამცმარე სკოლა-ინტერნატის შენობაზე.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიიღოს ზომები მესტიის სკოლა-ინტერნატში რეკონსტრუქცია-აღდგენითი სამუშაოების დასაჩქარებლად.

7. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს კაპიტალური მშენებლობისა (ამხ. ნ. ნაცვლიშვილი) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) სამმართველოებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 22 იანვრის დადგენილება.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წ. 5 აგვისტოს ბრძანება № 733

სასკოლო ინტერნატების პირველი რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 იანვრის დადგენილების „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და მათ შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებების შესასრულებლად.

სახალხო განათლების დარგში მიღწეულმა საერთო წარმატებებმა გამოხატულება ჰპოვეს სსრ კავშირის განათლების მინისტრის ამხ. მ. პროკოფიევის სიტყვაში სკკპ XXV ყრილობაზე, რომელშიც აღნიშნა, რომ ქვეყნის სკოლებში ძირითადად დამთავრდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში გარკვეული როლი ითამაშეს სასკოლო ინტერნატებმა, რომელთა ქსელი უკანასკნელ წლებში განუხრელად იზრდება.

მაგალითად, გასული მეცხრე ხუთწლედის განმავლობაში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 32 სასკოლო ინტერნატი 1400 მოსწავლეზე. მარტო გასულ 1975 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა 9 სასკოლო ინტერნატი 400 მოსწავლეზე. მიმდინარე წელს კი სასკოლო ინტერნატების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება—1976 წელს უნდა აშენდეს 5 სასკოლო ინტერნატი 200 მოსწავლისათვის. ამჟამად სასკოლო ინტერნატების ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში 176 ერთეულს შეადგენს 4753 ადგილით. ბევრი მათგანი აღჭურვილია რბილი და მა-

გარი ინვენტარით, შექმნილია ბავშვთა სწავლა აღზრდისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, სრულდება სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასკოლო ინტერნატების გარკვეული ნაწილი კარგად არის უზრუნველყოფილი სურსათით: ბავშვებს რეგულარულად ეძლევათ ცხელი კერძი, ახალი ხილი, მწვანილი და სხვა.

სასკოლო ინტერნატების პირველმა რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელიც მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ჩატარდა, გამოავლინა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც:

რესპუბლიკაში არსებული სასკოლო ინტერნატების ქსელი ვერ აკმაყოფილებს მისდამი მიყენებულ მოთხოვნებს; სასკოლო ინტერნატების უდიდესი უმრავლესობის სასწავლო-მატერიალური ბაზები მოუწყობელია, შეფარებულია დაქირავებულ, ძველ, ავარიულ შენობებში, სადაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისა და ყოფაცხოვრების ძალზე ცუდი პირობებია შექმნილი.

ასე მაგალითად:

ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული თითქმის ყველა სასკოლო ინტერნატი დაქირავებულ ბინებშია და სოფლად სხვადასხვა ადგილზეა გაფანტული. ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეებს აწვდიან პროდუქტებს ნატურის სახით. გარდა ამისა, ქვეშის, სარაჩლოს, იმირასანისა და ქვ. ბოლნისის სასოფლო საბჭოები დროულად არ გამოყოფენ სახსრებს მოსწავლეთა კვებისათვის.

ქარელის რაიონის არცერთ სასკოლო ინტერნატში არ არის მოწესრიგებული კვების ბლოკი; მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი ასორტიმენტით გათვალისწინებული პროდუქტებით. ბავშვებს ნაკლები რაოდენობით ეძლევათ ხორცი, ნატურალური რძე, კვერცხი, ბოსტნეული.

ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებია შექმნილი თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის სასკოლო ინტერნატში. იგი ძველ, შეგუებულ და ავარიულ შენობაშია მოთავსებული. იმის გამო, რომ ზამთარში არ თბებოდა, აგრეთვე შეფერხებები იყო კვებაში, მოსწავლეები იძულებული იყვნენ სახლებში წასულიყვნენ (აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის თექვსმეტმა რაიონმა არ შეასრულა განათლების სამინისტროს მოთხოვნა—წარმოედგინა ანგარიში სასკოლო ინტერნატების დათვალიერების შესახებ).

ზემოაღნიშნული მდგომარეობა, საერთოდ, დამახასიათებელია სასკოლო ინტერნატების საგრძნობი რაოდენობისათვის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სასკოლო ინტერნატების პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად არ იქნეს მიჩნეული არც ერთი რაიონი.

2. სასკოლო ინტერნატების პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალონ:

—თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სასკოლო ინტერნატი,
—თიანეთის რაიონის ახალსოფლის სასკოლო ინტერნატი,
—ცხინვალის რაიონის ვანათის სასკოლო ინტერნატი,
—ხობის № 1 საშ. სკოლასთან არსებული სასკოლო ინტერნატი,
—ამბროლაურის რაიონის ბუგეულის სასკოლო ინტერნატი,
—ხულოს საშ. სკოლასთან არსებული სასკოლო ინტერნატი,
—ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის სასკოლო ინტერნატი.

3. პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებული სასკოლო ინტერნატები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

—ყოველდღიური მზრუნველობისა და კონტროლის საგნად გახადონ სასკოლო ინტერნატების მუშაობა; კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ ანგარიშები მათდამი დაქვემდებარებული სასკოლო ინტერნატების მუშაობის შესახებ და ძიღონ კონკრეტული ზომები მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

—ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებასა და მათი სასწავლო-მატერიალური ბაზების სრულყოფა-განმტკიცებას;

—სასკოლო ინტერნატების ბაზის, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში აქტიურად ჩააბან შეფი ორგანიზაციები;

—გადაჭრით გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატების მომარაგება კვების პროდუქტებით, უზრუნველყონ მოსწავლეები მრავალფეროვანი მაღალკალორიული კვებით;

—სასკოლო ინტერნატებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა და მათი საქმიანობისადმი კონტროლი დააკისრონ გამოცდილ სასკოლო ინსპექტორს ან მეთოდისტს.

5. იმ სკოლების დირექტორებმა, რომელთაც გააჩნიათ სასკოლო ინტერნატები:

—გააუმჯობესონ სასკოლო ინტერნატების მუშაობისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა;

—ყოველდღიური მეთოდური დახმარებით უზრუნველყონ სასკოლო ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლება;

—სისტემატურად იზრუნონ სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე;

—ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ სასკოლო ინტერნატის შეუფერხებელი მომარაგება ცხელი, მრავალფეროვანი, მაღალკალორიული კვებით;

—სასკოლო ინტერნატის საჭიროებისათვის სისტემატური ურთიერთობა იქონიონ შეფ საწარმოებთან, ადგილობრივ საბჭოებთან;

—მკაცრი მეთვალყურეობა დააწესონ სასკოლო ინტერნატის დღის რეჟიმის შესრულებაზე;

6. სასკოლო ინტერნატების გამგეებმა:

—სისტემატურად იზრუნონ სასკოლო ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის;

—განამტკიცონ შრომითი დისციპლინა თანამშრომელთა შორის;

—უზრუნველყონ მოსწავლეთა კვება მრავალფეროვანი, მაღალკალორიული კერძებით;

—სასკოლო ინტერნატში მკაცრად დაიცვან სან-ჰიგიენის წესები;

—მკაცრად შეასრულონ შრომითი შინაგანაწესის ყველა მოთხოვნა.

7. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ნ. ნაცვლიშვილი) სასკოლო ინტერნატების მშენებლობისათვის დისლოკაციის გეგმის შედგენისას იხელმძღვანელოს განათლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნებით.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ ა. კვაჭაძე) სასკოლო ინტერნატების საკითხებზე შემოსული განცხადება-საჩივრებისა და წერილების გაანალიზების საფუძველზე შეიმუშაოს და რაიონებს დაუგზავნოს მეთოდიკური წერილი სასკოლო ინტერნატების საშტატო

ერთეულების, მათი უფლება-მოვალეობისა და შრომითი ანაბლაუ-
რების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) დააწესოს
კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1976 წლის 22 ივლისის დადგენილება.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 6 აგვისტოს ბრძანება № 734

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უცხოური ენების მასწავლებლები გარკვეულ მუშაობას ატარებენ ამ საგნის სწავლების წინაშე დასახული ამოცანის განსახორციელებლად. საგნის სწავლებისას ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მაღალიდეური და პატრიოტული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის მიზნით.

ამასთან, ირკვევა, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია რესპუბლიკის სკოლებში უცხოური ენების სწავლების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ ბრძანება და თანდართული მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ," დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მასში მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

—გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში უცხოური ენების კაბინეტებისა და, უკიდურეს შემთხვევაში, კლას-კაბინეტების შესაქმნელად; ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით კაბინეტების აღჭურვისათვის;

—შეისწავლონ მათ დაქვემდებარებაში მყოფ საშუალო და 8-წლიან სკოლებში უცხოური ენების სწავლების თანაფარდობის დაცვის საკითხი იმ ანგარიშით, რომ ინგლისური ენა ისწავლებოდეს სკოლების 50%-ში, გერმანული—20%-ში და ფრანგული—20%-ში. მსხვილ სამრეწველო ქალაქებში ესპანური და სხვა ენები-10%;

მიიღონ გადამჭრელი ზომები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების დასაკომპლექტებლად. არასპეციალისტების შეცვლის მიზნით, სჯერო შემთხვევაში, წარმოუდგინონ განაცხადი განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს;

—პრაქტიკაში დანერგონ ქ. თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში შესაძლებლობის ფარგლებში „მეგობრობის გაკვეთილის" ჩატარება უცხოურ ენაში.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ. თ. ზახაშვილმა, ო. აგრბამ, ნ. ქიქავამ, შ. ლოხოვმა, ა. ელიზბარაშვილმა, ჟ. ჯულაყიძემ):

—სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიონ უცხოური ენების მასწავლებლებს სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით წარმართვაში;

—მოაწყონ მათთვის თემატური დახელოვნების კურსები, რომელზედაც მასწავლებლებს შეასწავლიან ლინგაფონის კაბინეტებისა და სწავლების სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

—უცხოური ენების მასწავლებლებამდე დაიყვანონ ეს ბრძანება, აგრეთვე თანდართული მოხსენებითი ბარათი და განახორციელონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მათ შესრულებაზე;

—საქმის კურსში ჩააყენონ განათლების განყოფილებები უცხოური ენების იმ მასწავლებელთა მუშაობაზე, რომლებიც ვერ ასწავლიან საგანს და დააყენონ საკითხი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით მათ შესაცვლელად;

—იზრუნონ უცხოური ენების კაბინეტების საჭირო თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით შესავსებად. ამასთან, დააწესონ მტკიცე მეთვალყურეობა, რამდენად სწორად და სისტემატურად არის გამოყენებული ისინი სწავლებაში;

—მოითხოვონ ამ საგნების მასწავლებლებისაგან, რომ ყველა მათგანი სისტემატურად ისმენდეს ტელევიზიით გადმოცემულ გაკვეთილებს.

4. რესპუბლიკის სკოლების უცხოური ენების მასწავლებლებმა:

—თავის თავზე სისტემატური მუშაობით სრულყონ იდეურ-პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდიკური და მეცნიერული მომზადება, გულდასმით ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, სწავლებაში გამოიყენონ თანამედროვე ხერხები და მეთოდები, მოხერხებულად მოიმარჯვონ თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებები; ჩაატარონ გაკვეთილები ძირითადად უცხოურ ენაზე;

—სისტემატურად აწარმოონ გაკვეთილზე ფონეტიკური მუშაობა და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს გამოუმუშაონ შესაბამისი უცხოური გამოთქმა;

—იბრძოლონ მოსწავლეებში წერა-კითხვის ცოდნა-ჩვევების მაღალი კულტურისათვის; სისტემატურად იმუშაონ საკლასო-საშინაო დავალებებისა და სიტყვარების რვეულებზე;

—ყოველი მოსწავლისადმი თანმიმდევრული, ერთიანი მომთხოვნელობით მიაღწიონ კლასის ცალკეულ მოსწავლეებში დაახლოებით თანაბარი წარმატების დონეს;

—გაამდიდრონ და განამტკიცონ პროგრამით გათვალისწინებული სიტყვათა მარაგი და უზრუნველყონ მისი გამოყენება სიტუაციურ, დიალოგურ და მონოლოგიურ მეტყველებაში;

—ფართოდ გაშალონ სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობა სკოლაში. სისტემატურად მოაწყონ ე. წ. საანგარიშო თუ საზეიმო დილა-საღამოები, მიიღონ ზომები რესპუბლიკურ ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;

—სწორად წარმართონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, სისტემატურად მოაწყონ ღია გაკვეთილებზე, აგრეთვე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და მათი მაღალკვალიფიციური, საფუძვლიანი განხილვა, მიაღწიონ სწავლების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფილად დაუფლებას; გულმოდგინედ დაგეგმონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა და კონტროლი მათ შესრულებაზე.

5. მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილი) საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს უცხოური ენების სასწავლო-მეთოდური საჭოს მიერ წარმოდგენილი მეთოდური ლიტერატურის გამოქვეყნება.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. აკ. დვალიშვილი) ქ. თბილისში გამოყოს ერთი კინოთეატრი არადუბლირებული ფილმების სადემონსტრაციოდ ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

7. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ქ. თბილისას უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის, ქ. თბილისის განათლების განყოფილებისა და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის წარმომადგენლებისაგან შექმნას კომისია ქ. თბილისის სკოლებში სხვადასხვა უცხოური ენის სწავლების მიზანშეწონილი თანაფარდობის დასადგენად; თავისი წინადადება ამ კომისიის შემადგენლობაზე დასამტკიცებლად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას ა/წ 20 აგვისტომდე.

8. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გრ. საჯაია) ყოველკვირეულმა დამატებამ „უცხოური ენები სკოლაში" (ამხ. შ. შათირიშვილი) და გაზეთ „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) თავის ფურცლებზე პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები უცხოური ენების სწავლების შესახებ.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 22 ივლისის დადგენილება.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ამხ. უშ. ობოლაძეს

მოხსენებითი ბარათი

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი დიდმნიშვნელოვან, ბრძოლულ, თანმიმდევრულ ღონისძიებას ატარებენ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად. დღითიდღე იზრდება და მტკიცდება საერთაშორისო კავშირი ჩვენს სამშობლოსა და სხვა ქვეყნებს შორის, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენების სწავლებას სკოლაში.

უცხოური ენების შესწავლა აადვილებს ხალხთა ურთიერთგაგებას, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის მეგობრული, საქმიანი და კულტურული კავშირის დამყარებას.

უცხოური ენების შესწავლის პროცესში მოსწავლეები იზრდებიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სხვა ქვეყნებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ჯერ კიდევ 1961 წლის 27 მაისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, ამ ბრძანების შესაბამისად, 1961 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების გასაუმჯობესებლად.

1962—1963 სასწავლო წლიდან უცხოური ენების გაკვეთილებზე. კლასები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 25-ს აღემატება, ორ

ჯგუფად გაიყო. რესპუბლიკის 36 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემოღებულ იქნა ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლება: 23 საშუალო სკოლაში ინგლისურის, 3-ში-გერმანულისა და 3-ში-ფრანგულის. გარდა ამისა, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 7 მარტის № 9/2 გადაწყვეტილების შესრულებლად ქ. თბილისის 4 საშუალო სკოლაში შემოღებულ იქნა ესპანური ენის სწავლება.

უკანასკნელ წლებში, ყველა საგანში ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მიიშვნელოვანი ცვლილებებია უცხოური ენების სწავლების მიზნით და მასთან დაკავშირებით შინაარსის, პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრაში. მეტი ყურადღება დაეთმო ენის პრაქტიკულ ათვისებას.

უცხოური ენების სწავლების შემდგომ გასაუმჯობესებლად ჯეროვანი ყურადღება მიექცა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. რესპუბლიკის უმეტეს სკოლებში მოწყობილია უცხოური ენების კაბინეტები ან კლას-კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, 108 სკოლაში დადგმულია ლინგაფონის კაბინეტი. იმ სკოლებში, რომლებიც კაბინეტურ სისტემაზეა გადასული, მოწყობილია არა ერთი, არამედ 2-3-4-5, ხოლო ზოგიერთი საგნის უცხოურ ენაზე სწავლების სკოლებში 13—14 კაბინეტი.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა უცხოური ენების მასწავლებელთა შემადგენლობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, 4939 მასწავლებლიდან 4382-ს უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს.

მასწავლებელთა ცენტრალური, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო და ქუთაისის დახელოვნების ინსტიტუტები ყოველწლიურად აწყობენ მათთვის დახელოვნების კურსებს, სადაც ლექციებს კითხულობენ გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები და მეთოდისტები.

განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოსთან შექმნილია უცხოური ენების სასწავლო-მეთოდური საბჭო, რომელიც მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვა-დახვეწისა და მეთოდური ლიტერატურის გამოცემის საქმეში.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვირეული დამატება „უცხო ენები სკოლაში“ მნიშვნელოვან მეთოდურ და თეორიულ დახ-

მარებას უწევს უცხოური ენების მასწავლებლებს. ჟურნალში ხშირად იბეჭდება მასალები მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე რამდენიმე წელია, სისტემატურად გადაიცემა გაკვეთილები რესპუბლიკის ტელევიზიით ინგლისურსა და გერმანულ ენებში, 1976—77 სასწავლო წლიდან კი—ფრანგულ ენაშიც, რაც ქმედით დახმარებას უწევს ჩვენი სკოლების უცხოური ენების მასწავლებლებს თავიანთი მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვაში.

უცხოური ენების მასწავლებელთა დიდი ჯგუფი სისტემატურად მუშაობს იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პედაგოგიური დონის შემდგომ ასამაღლებლად, გულმოდგინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, სისტემატურად ეცნობა სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს, მოხერხებულად იყენებს სწავლების ტექნიკურ საშუალებებსა და თვალსაჩინოებას, იარძკის მასწავლებელში ზეპირი მეტყველების ჩვევების გამომუშავებისათვის, რისთვისაც გაკვეთილის მსვლელობაში იყენებს დიალოგურ, მონოლოგიურ მეტყველებას, წერასა და კითხვას, საგნობრივი ტრენინგების მუშაობას. ასე მუშაობენ ინგლისური ენის მასწავლებლები: ე. ქუთათელაძე, ნ. კვირტია (ქ. თბილისის 1-ლი), დადაევა, დუმბაძე (ქ. თბილისის 32-ე სკოლა), ლ. მენა დე, ც. ჩხეიძე, თ. ყიფიანი, ც. ჩაჩრიანი (ქ. თბილისის 57-ე სკოლა), ნ. ბარათაშვილი (117-ე სკოლა), დ. ჩოჩია (ქ. ხაშურის მე-3 სკოლა), ი. ფარცვანია (ქ. ბათუმის მე-8 სკოლა), ს. პანიდი, ს. ფინდრიკოვა (ქ. ბათუმის მე-20 სკოლა), ი. ძაგნიძე (ვანის 1-ლი სკოლა), თ. ქოროლლიშკილი (გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა), ც. მჭედლიშვილი (წითელწყაროს 1-ლი სკოლა), თ. მაჭავარიანი (საგარეჯოს მე-2 სკოლა) და სხვ. გერმანული ენის მასწავლებლები: დ. ვაწაძე, ზ. მარიდაშკილი, ვ. თვალაბეიშვილი (ქ. თბილისის მე-4 სკოლა), მ. კვაჭაძე (ქ. თბილისის 64-ე სკოლა), ნ. კავსაძე (ქ. თბილისის 65-ე სკოლა), გ. გაბისონია (ქ. თბილისის 67-ე სკოლა), ე. ბაბალიკაშვილი (ქ. თბილისის 68-ე სკოლა), ლ. ებანოიძე, ნ. ალბრეხტი (გარდაბნის 1-ლი სკოლა), ო. დიასამიძე (მცხეთის რაიონის ჩარდახის სკოლა), მ. ცქიმანაური (მცხეთის რაიონის მუხრანის სკოლა), რ. მირიანაშვილი (გარდაბნის რაიონის წავკისის სკოლა), ვ. გუშჩენკო (წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა) და სხვ. ფრანგული ენის მასწავლებლები: გ. კვარაცხელია (ქ. თბილისის მე-20 სკოლა), ლ. ნანიკაშვილი (თბილისის 23-ე სკოლა), ნ. ბროდსკაია, ვ. ხაჩატუროვა (ქ. თბი-

ლისის 38-ე სკოლა), ა. მღებრიშვილი, ლ. მელაშვილი (ქ. თბილისის მე-60 სკოლა), თ. სენიაშკილი (ქ. ქუთაისის მე-12 სკოლა) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სკოლებში ფართოდ არის გაშლილი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. დიდი ხანია კარგ ტრადიციად იქცა კვლის გაზეთ ისა და ალბომების გამოშვება, თემატური დილა-საღამოების ჩატარება უცხოურ ენებზე. დიდი გაქანება ჰპოვა სკოლებში მთარგმნელობითმა ძუშაობამ (უცხოურიდან მშობლიურსა და მშობლიურიდან უცხოურ ენებზე). ქ. თბილისის სკოლები სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას ბ. ძნელაძის სახელობის რესპუბლიკურ პიონერთა სასახლის უცხოური ენების სექციის მიერ მოწყობილ კონკურსებსა და სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებში. ქ. თბილისის 1-ელ, მე-4, მე-5, 23-ე, 24-ე, 39-ე, 52-ე, 55-ე, 68-ე სკოლებს ფეხი აუწყვეს ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ზესტაფონის, საგარეჯოს, გურჯაანისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლებმა.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებას უცხოური ენების სწავლების საქმეში.

სადირექტივო ორგანოების არაერთგზის მითითების მიუხედავად, რესპუბლიკის სკოლებში დარღვეულია თანაფარდობა უცხოური ენების სწავლებაში. რესპუბლიკაში 544145 მოსწავლე სწავლობს უცხოურ ენებს; მათგან 283335 (52,1%) სწავლობს გერმანულს, 189733 (34,8%)-ინგლისურს და 71117 (13.1)-ფრანგულ ენას. მთელი რიგი რაიონები მიახლოებითაც არ იცავენ აუცილებელ თანაფარდობას და მათ სკოლებში მხოლოდ გერმანული ენა ისწავლება. ახალციხის, ბორჯომის, ზუგდიდის, ლენტეხის, თეთრიწყაროს, წულუკიძისა და ჩხოროწყუს რაიონებში თითქმის არ ისწავლება ფრანგული ენა. ბოლო ხანებში რესპუბლიკის დიდ ქალაქებში განსაკუთრებული მიდრეკილება იგრძნობა ინგლისური ენის შესწავლისადმი. ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. ქ. თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი და სხვა. ხშირ შემთხვევაში ინგლისური ენის შემოღება ხდება სკოლებიდან გერმანული და ფრანგული ენების შევიწროების გზით.

ქ. თბილისში ვაკის არც ერთ სკოლაში არ ისწავლება გერმანული და ფრანგული ენები. კიროვის, კალინინის, პირველი მაისისა და 26 კომისრის რაიონებში გერმანული და ფრანგული ენები მხოლოდ რუსულ სკოლებში ისწავლება.

რესპუბლიკის საშუალო და 8-წლიან სკოლებში დღეისათვის 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასპეციალისტი ასწავლის გერმანულ ენას, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ ენის სწავლების დონეზე.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, მაგრამ ყველა მასწავლებელი როდი მუშაობს თანაბარი მონდომებით, ზოგი მათგანი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ენას დამაკმაყოფილებლად ფლობს და შეუძლია უმტკივნეულოდ ჩადგეს მოწინავე მასწავლებელთა რიგებში, არ ემზადება გაკვეთილისათვის, თავის მუშაობაში არ ნერგავს იმ სიახლეს, რომელიც დღეისათვის გამოყენებულია უცხოური ენების სწავლებაში, გაკვეთილს მხოლოდ სახელმძღვანელოს დახმარებით წარმართავს, არ მუშაობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება-განმტკიცებისათვის, არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, არ მუშაობს მოსწავლეთა კითხვისა და წერის კულტურის ასამაღლებლად, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე; მათ არ ესმით უცხოურ ენაზე მასწავლებლის საუბარი, რის გამოც მასწავლებელი იძულებულია ერთი და იგივე აზრი ორ ენაზე წარმოთქვას. ასეთი მდგომარეობა არღვევს გაკვეთილის რიტმს და უქმად იხარჯება დრო. ასეთი მასწავლებლებია ნ. ყვარელაშვილი (ქ. თბილისის 1-ლი სკოლა), ნ. კვიტაიშვილი (მე-2 გახანგრძლივებული დღის სკოლა), ნ. ზვამბაია, ს. ნაყოფია (117-ე სკოლა), ე. მანათაძე (ხაშურის მე-3 სკოლა), გ. მანელიშვილი (ბელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის სკოლა), მ. თვალაძე (საჩხერის მე-2 სკოლა), კ. სიჭინავა, გრ. ჯოხაძე (საჩხერის სკოლა), მ. თვალაძე (საჩხერის მე-2 სკოლა), ვ. სიჭინავა, გრ. ჯოხაძე (საჩხერის რაიონის არგვეთის სკოლა) და სხვ.

სკოლებში არცთუ მცირე რაოდენობით მუშაობენ მასწავლებლები, რომლებსაც დაბალი მეცნიერული და პედაგოგიურ—მეთოდიური მომზადება აქვთ, არადამაკმაყოფილებლად ფლობენ სიგანს, მეტყველებისას თვითონ უშვებენ შეცდომებს, გაკვეთილებს ძველი, კითხვისა და თარგმნის მეთოდით ატარებენ, მას ვერ წარმართავენ სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, რის შედეგადაც მათი მოსწავლეების დონე მოუთმენლად დაბალია, არ იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალები, არა აქვთ უბრალო, მარტივი მეტყველების ჩვევები. ასეთი არადამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ მასწავლებლებს მ. სიჭინავას (ქ. თბილისის 57-ე სკოლა), ლ. ნიბაქიძეს (ქ. თბილისის 65-ე სკოლა), ლ. ქვრივიშვილს, ხ. ნაყოფიას (ქ. თბილისის 117-ე სკოლა). ვ. ახალაძეს (ქ. ბათუმის მე-6 სკოლა), ე. სარჯველაძეს (ქ. ბათუმის 1-ლი სკოლა), ვ. კიპაროიძეს (საჩხერის რაიო-

ნის არგვეთის სკოლა), წულუკიძეს (ცაგერის რაიონის ალპანის სკოლა) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირია შემთხვევა, როდესაც გაკვეთილზე ვხვდებით მოსწავლეთა არათანაბარ ცოდნას, რაც გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებელი გაკვეთილზე ერთნაირი მონდომებით არ მუშაობს ყველა მოსწავლესთან, მისი ყურადღების ცენტრში მხოლოდ აკადემიურად ძლიერი მოსწავლეებია და დანარჩენები მთელი გაკვეთილის განმავლობაში თითქმის უყურადღებოდ რჩებიან. ამის შედეგია, რომ კლასში მხოლოდ 3—4 მოსწავლე თუ ამჟღავნებს სათანადო ცოდნას და სხვებმა, უმეტეს შემთხვევაში, კითხვაც კი არ იციან, რის შედეგადაც იზრდება წუნი მასწავლებლის მუშაობაში. ახლა კი, როცა სკკპ XXV ყრილობამ სახალხო განათლებას, ისევე, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, მიზნად დაუსახა, გარდაქმნას თავისი მუშაობა, აამაღლოს სწავლების ხარისხი, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუტევებელია.

უცხოური ენების მასწავლებლების მუშაობაში შეინიშნება ერთი ნაკლიც: სწავლების პირველ სამ წელს V—VI—VII კლასებში მასწავლებლები თითქოს უფრო მონდომებით მუშაობენ და სათანადო შედეგსაც აღწევენ, ამ კლასებში მოსწავლეებს საკმაო სიტყვათა მარაგი აქვთ, ახერხებენ მოკლე ინფორმაციის გაკეთებას, მაგრამ VIII კლასიდან მოსწავლეები, რატომღაც, კარგავენ სწავლისადმი ინტერესს და მასწავლებლები ამას მათ სიზარმაცეს მიაწერენ, რაც სწორი არ არის. მაგრამ ღრმად რომ ჩავწვდეთ საქმის აზრს და გავაანალიზოთ მასწავლებლის მუშაობა უფროს კლასებში, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელმა განაგრძოს მუშაობა არსებული სიტყვათა მარაგის გასამდიდრებლად, თანამიმდევრულად იმუშაოს ფონეტიკაზე, მიაჩვიოს მოსწავლეები დიალოგურ და მონოლოგურ მეტყველებას, კვლავ ფართოდ გამოიყენოს თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებები, მიაჩვიოს მოსწავლეები თემატური სურათების დამოუკიდებელ აღწერას, ისინი გაკვეთილზე კითხვის, წაკითხულის თხრობისა და, უკეთეს შემთხვევაში, თარგმნის მეთოდებით იფარგლებიან და, შეიძლება ითქვას, წყალში იყრება სამი წლის ნაშრომი, გაკვეთილები ერთფეროვანი, მოსაწყენია მოსწავლისათვის. ყოველივე ამის ლოგიკური დასასრული ის არის, რომ მოსწავლემ ისიც დაივიწყა, რაც იცოდა, დაიკარგა ინტერესი საგნისადმი, გაჩნდა მოკლე გზა უცოდინარობამდე.

მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მოეკიდოს გაკვეთილს,

უნდა ეცადოს, რომ ნაირფეროვანი, საინტერესო გახადოს იგი. ამ ბოლო დროს რამდენიმე უცხოური ენის მასწავლებელმა ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ჩაატარა გაკვეთილი, რომლის თემა ინტერნაციონალური მეგობრობა იყო. სასიამოვნო მოსასმენი იყო, თუ როგორ სალად, ინტერესით მსჯელობდნენ ბავშვები ხალხთა მეგობრობაზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე. ანთებული თვალებით შესცქეროდნენ მუზეუმში გამოფენილ ექსპონატებს. მათ პატარა გულებში სამუდამოდ ჩარჩა ის საშინელებანი, რაც ჩვენმა სამშობლომ განიცადა დიდ სამამულო ომში და მათ მეგობრობის მუზეუმი დატოვეს აზრით— ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის დასაცავად.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ტექნიკური საშუალებების დასანერგად. ბევრი მასწავლებელი მოხერხებულად იყენებს მაი, რითაც ეფექტურს ხდის გაკვეთილს და მაღალ აკადემიურ მოსწრებას აღწევს, მაგრამ ყველგან ასე როდია. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც სკოლებში დამონტაჟებულია ლინგაფონის კაბინეტები, ზოგჯერ ორი კომპლექტიც. მაგრამ მასწავლებელი ვერცერთს ვერ იყენებს. მიზეზი ორგვარია—პირველი, რომ კაბინეტებს ამონტაჟებენ შემთხვევითი პირები და რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მწყობრიდან გამოდიან და მეორე ის, რომ მასწავლებლებმა არ იციან მათი გამოყენება. ასეთივე ბედი ეწევათ ხოლმე სწავლების სხვა ტექნიკურ საშუალებებსაც. მასწავლებელმა, გარდა მისი გამოყენებისა, უნდა იცოდეს მისი მცირე შეკეთებაც კი, რისთვისაც საჭიროა ამ ხელსაწყოების გულდასმით შესწავლა.

გაკვეთილზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სხვა საკითხებსაც. მაგალითად, ლექსების და სიმღერების შესწავლა, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრება-განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, ეს არის სისტემატური მზადება ე. წ. საანგარიშო ან საზეიმო დილა-საღამოებისათვის. ასეთი თანმიმდევრული მუშაობა გამორიცხავს იმ „კამპანიურობას", რასაც ადგილი აქვს სკოლებში რაიმე ღონისძიების ჩატარების დღეებში. ამ ღონისძიების ჩატარების მიზანი უნდა იყოს ამა თუ იმ უცხოურ ენაში სწორი გამოთქმის გამომუშავება, მოსწავლეთა საუკეთესო მეტყველების დემონსტრირება. სკოლაში კარგად დაყენებულმა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობამ გამოძახილი უნდა ჰპოვოს იმ მნიშვნელოვან ღონისძიებებში, რომელთაც ატარებს ბორის ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური პიონერთა სასახლის უცხოური ენების განყოფილება. უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ამ სასარგებლო ღონისძიებაში და დღის სინათლეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიტანოთ ჩვენი მუშაობის კარგი შედეგები. კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს კლასგარეშე ადაპტირებული ლიტერატურის კითხვა წარმოადგენს, მაგრამ ამ სასარგებლო მუშაობას საინტერესოდ ორგანიზება სჭირდება. მოსწავლეს უნდა შევურჩიოთ ისეთი ლიტერატურა, რომელსაც ადვილად გაიგებს, რაც დააინტერესებს მოსწავლეს და შეაყვარებს წიგნების კითხვას ორიგინალში.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ წერა და გრამატიკული მასალის სწავლება. ამ მხრივ ჩვენს სკოლებში ყველაფერი რიგზე არ არის.

წერა უცხოური ენის სწავლების მნიშვნელოვანი საშუალებაა, იგი ხელს უწყობს ზეპირი მეტყველებისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ენობრივი მასალის შეთვისებას.

როგორ ვასრულებენ უცხოური ენის შესწავლის ამ მნიშვნელოვან მოთხოვნას, როცელიც წარედგინება წერას? მასწავლებლებს უყურადღებოდ აქვთ მიტოვებული მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დავალებისა და სიტყვარების რეგულები, გაკვეთილებზე ხშირ შემთხვევაში, არ ხდება წერითი საშინაო დავალების შემოწმება, პერიოდულად არ სწორდება ისინი, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა.

მნიშვნელოვანი ხარვეზები შეიმჩნევა გრამატიკული მასალის სწავლებისას. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი გრამატიკულ მასალას კლასს მხოლოდ თეორიულად აწოდებს ე. ი. ასწავლის წესებს და არ აკონტროლებს მისი პრაქტიკული ათვისების მდგომარეობას. გაკვეთილზე ხშირად გაიგონებ: „აბა, მოყვეი გრამატიკა".

სკოლებში ადგილი აქვს უცხოური ენების მასწავლებელთა ხშირ ცვლას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საგნის სწავლებაზე. უნდა მივაღწიოთ იმას, სადაც ეს შესაძლებელია, მასწავლებელი გაყვეს თავის კლასს. ეს სკოლის დირექციასაც გაუადვილებს კონტროლს და მასწავლებელიც თვალნათლივ დაინახავს თავისი მუშაობის შედეგს, შეძლებს კრიტიკულად შეაფასოს თავისი მუშაობა.

ყველა სკოლაში, სადაც უცხოური ენის მასწავლებელთა რიცხვი 3-ს აღემატება, შექმნილია მეთოდური გაერთიანება, შედგენილია სამუშაო გეგმები, იწერება რეფერატები თანამედროვე აქტუალურ თემებზე, მაგრამ გაკვეთილები ისევ ძველი მეთოდით ტარდება, ე. ი. ყოველგვარი თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე, არ ხდება ლექსიკური მარაგის განმტკიცება და სხვ.

ასევე ნაკლებეფექტურია დღეისათვის სკოლებში დამკვიდრებული ღია გაკვეთილების ჩატარებისა და გაკვეთილებზე ფრონტალური დასწრების არასწორი პრაქტიკა. ამ გაკვეთილების გარჩევამ მასალების გაცნობამ ნათელყო, რომ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ფორმალურ ხასიათს ატარებს. საქმე ის არის, რომ რატომღაც მასწავლებლები თავს არიდებენ კრიტიკას, რაც დიდ ზიანს აყენებს მათ პირდაპირ საქმეს.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლის დირექციის წარმომადგენლებს მეტნაკლებად უჭირთ კონტროლის დაწესება უცხოური ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმებისას, ვინაიდან მათ არ იციან ენა და მასწავლებლის თეორიული ცოდნის დონის შემოწმება ვერ ხერხდება, მაგრამ, თუ სკოლის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები მეტ ყურადღებას მიაქცევენ გაკვეთილის ჩატარების მეთოდურ მხარეს და მოსწავლეთა მომზადების დონეს, მიზანი მიღწეულ იქნება.

სკოლების სამმართველოს სასკოლო
ინსპექტორები თ. ზელქაძე, ნ. ლაბაზიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება
1976 წ. 13.08. № 19/2

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III (1976 წლის ივლისის) პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ამოცანები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც მოისმინა განათლების მინისტრის ამხ. ო. დ. ჭინჭლაძის ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III (1976 წლის ივლისის) პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ამოცანები, აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის III პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხები:

1. თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა.

(მომხსენებელი საქ. კპ ცკ-ის I მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე)

2. სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზა ტორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორულ—პოლიტიკურ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

(მომხსენებელი საქ. კპ. ცკ-ის მდივანი გ. ვ. კოლბინი),

ფეტად საქმიანად, ღრმად და საფუძვლიანად განიხილა ამოცანები, რომ-ლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებებითაა დასახული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ უკანასკნელი დადგენილებიდან საბამი მიეცა ახალ ეტაპს საქართველოს კომპარტიის ცხოვრებაში, რომელიც წარმატებით რაზმავს რესპუბლიკის მშრომელებს პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული მიჯნების მისაღწევად.

სკკპ ცკ-ის 1976 წლის 22 ივნისისა და საქართველოს კპ ცკ-ის 1976 წლის 29 ივნისის დადგენილებების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1976 წლის 15 ივლისის კოლეგიაზე განიხილა საკითხი და ადგილებზე დაუშვა ბრძანება № 697 „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ შესწავლის, პროპაგანდისა და შესრულების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ამოცანების შესახებ“.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ყველა ტიპის სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ზემოაღნიშნულ დადგენილებებსა და საქ. კპ ცკ-ის III პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, არსებითად უნდა განმტკიცდეს სოციალისტური დისციპლინა და შრომითი რეჟიმი, მკვეთრად ამაღლდეს სწავლების ხარისხი და დისციპლინა მოსწავლეთა შორის, გაუმჯობესდეს კონტროლი და თვითკონტროლი და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის (1976 წლის ივლისის) გადაწყვეტილების შესრულების მიზნით,

კოლეგია ადგენს

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

ა) კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ საკითხი საქართველოს კპ ცკ-ის III პლენუმის შედეგების შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1976 წლის 20

ივლისის № 697 ბრძანებისა და ამ დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სკკპ XXV ყრილობის მიერ სახალხო განათლების დარგში სკკპ ცკ-ის 1973 წლის 22 ივნისისა და საქ. კპ ცკ-ის III პლენუმის (1976 წლის ივლისის) დადგენილებით რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატურად შეამოწმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობა, მკვეთრად აამაღლონ სკოლებში სწავლების ხარისხი, გააუმჯობესონ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინა;

დ) არსებითად გააუმჯობესონ სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლისა და სისტემის ყველა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სოციალისტური დისციპლინა, აამაღლონ თანამშრომელთა პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, იზრუნონ მასწავლებელთა და სხვა მუშაკების იდეურ—პოლიტიკური და პროფესიული დონის ამაღლებაზე;

ე) ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებათა და სახალხო განათლების რგოლში საქ. კპ ცკ-ის III პლენუმის შედეგების განხილვის დროს გამოთქმული საქმიანი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც მოითხოვენ სამინისტროს რეაგირებას, დაუყოვნებლივ გამოგზავნონ განათლების სამინისტროში.

2. განათლების სამინისტროს აპარატში განმტკიცდეს თანამშრომელთა შორის სოციალისტური დისციპლინა, სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა უზრუნველყონ თითოეული მუშაკის დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გაზრდა.

3. დაევალოს სკოლების სამმართველოს ამხ. (რ. კანდელაკი) და სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. ზ. როგავა) საჭირო კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე

განათლების მინისტრი ო. ჭინჭლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 18 აგვისტოს ბრძანება № 750

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ და 1—ელ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მე—10 და სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ

მოსამზადებელ და 1-ელ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში მე-10, აგრეთვე სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანის საქმის მოწესრიგების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება დაერთოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს (გამგეებს), საცხოვრებელი ადგილისა და დაწესებული მიკრორაიონის მიხედვით ჩარიცხონ მოსამზადებელ და 1-ელ კლასებში ის ბავშვები, რომელთაც მოცემული წლის დეკემბრის ბოლომდე უსრულდებათ 6 ან 7 წელი.

2. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ან პედაგოგიური მოსაზრებით I-IX კლასების მოსწავლეებს ქალაქის, რაიონის ერთიდან მეორე სკოლაში გადაიყვანს სკოლის დირექტორი (გამგე), ქალაქის, რაიონის ფარგლებს გარეთ კი როგორც ყველა გადასაყვანი, ისე X, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, სკოლის დირექტორის (გამგის) დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე - შესაბამისი ქალაქის, რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

3. პირადი პასუხისმგებლობა მოსამზადებელ და პირველ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვაზე, სკოლიდან სკოლაში მე-10 და სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანაზე დაეკისროთ სკოლების დირექტორებს (გამგეებს) და ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს.

4. დაწესდეს, რომ სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვა ან სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანა ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე

ან, გამონაკლის შემთხვევაში, 1-ლი და მე-2 მეოთხედის დამლევს.

5. ქალაქების, რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) მოსამზადებელ და 1-ელ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა სასწრაფოდ დაიყვანონ ამ ბრძანების შინაარსი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამდე.

7. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

8. ამ ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 11 მაისის № 472 ბრძანება და „წესები საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ“.

მინისტრი **ოთ. ჭინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
1976 წლის 3 აგვისტოს ბრძანება № 787

რესპუბლიკის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისადმი, პედაგოგ—აღმზრდელებისადმი, პროფესორ—მასწავლებლებისა და მშობლებისადმი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის—ბეჯითი სწავლითა და შრომით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას—რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში განხილვის, დაღვანისა და განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისადმი, პედაგოგ-აღმზრდელებისადმი, პროფესორ-მასწავლებლებისა და მშობლებისადმი — ბეჯითი სწავლითა და შრომით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას — დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, რომლიც გამოხატავს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმისა და მისი ბედნიერი მომავლისადმი. ამ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, აღფრთოვანებულნი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებით, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

მიმდინარე სასწავლო წელი ხარისხისა და ეფექტიანობის წელია.

სკოლების ცხოვრებაში იგი უნდა იქცეს ახალგაზრდობის სწავლებასა და აღზრდაში მნიშვნელოვანი მიღწევების საწყისად. თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულების ყოველდღიური შრომითი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს ზრუნვა სოციალისტური დისციპლინის ამაღლებისათვის.

მიმართვაში სავსებით მართებულადაა აღნიშნული, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა უმთავრესი ამოცანაა ფრიადზე სწავლა, მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლება, შრომითი ჩვევების შეძენა“. მოსწავლეები ღრმად უნდა გრძნობდნენ სწავლისადმი პირად პასუხისმგებლობას, იყვნენ ცოდნისმოყვარულნი, ეუფლებოდნენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს, აზროვნებდნენ შემოქმედებითად, ღრმავებდნენ ცოდნას, იყენებდნენ მას პრაქტიკაში, ჰქონდეთ სარიმეში დისციპლინა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართვის — ბეჯითი სწავლითა და შრომით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას-სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში განხილვის, დაყვანისა და განხორციელების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათ გამგეებმა:

ა) სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლისა და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა კოლექტივებში დეტალურად განიხილონ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართვა — ბეჯითი სწავლითა და შრომით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებმა ე დ იყვანონ მიმართვის ტექსტი, მის შესახებ იქონიონ მსჯელობა კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში, მოსწავლეთა კოლექტივებში,

გ/ ზემოაღნიშნული მიმართვის შინაარსი სკოლის ან კლასის მშობელთა კრებებზე გააცნონ მოსწავლეთა მშობლებს;

დ/ სახალხო განათლების სისტემის ყველა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მიმართვაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესასრულებლად.

2. პირადი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიმართვის ტექსტის განხილვის, გაცნობისა და განხორციელების საქმეზე დაეკისროთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებს, სხვა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

მინისტრი ოთ. ჭინჭლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საქართველოს სსრ საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები . . . . .
2. ბრძანება № 641-1975-1976 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების შედეგების შესახებ
3. ბრძანება № 697—სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცკ-ის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ შესწავლის, პროპაგანდისა და შესწავლის საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ამოცანების შესახებ . . . . .
4. ბრძანება № 705—ზოგადსაგანმანათებლო სკოლების ფიზიკის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და და მოწყობილობათა აღრიცხვის, მოკლის, გამოყენების, შევსების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . .
5. ბრძანება № 706 —სახალხო განათლების ობიექტების სახანძრო დაცვის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
6. ბრძანება № 718— სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ
7. ბრძანება № 733— სასკოლო ინტერნატების პირველი რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შედეგების შესახებ . . .
8. ბრძანება № 734— რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . .
9. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III (1976 წლის ივლისის) პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ამოცანები . . . . . .
10. ბრძანება № 750 — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელ და 1—ელ კლასებში ბავშვთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მე—10 და სხვა კლასების მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ.
11. ბრძანება № 787— რესპუბლიკის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისადმი, პედაგოგ-აღმზრდელებისადმი, პროფესორ-მასწავლებლებისა და მშობლებისადმი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა — ბეჭდვითი სწავლითა და შრომით აღზრდის — პარტიის ზრუნვა-რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზ. დელობით დაწესებულებებში განხილვის, დაყვანისა და გახორციელების შესახებ . . . . . .